ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4867895

ნომერი: AR1734637

თარიღი : 14.02.2020

გაცემის თარიღი : 21.02.2020

გაცნობის თარიღი : 24.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , ჩიხი III , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , ჩიხი III , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა კემულარია პ/ნ 62005000668
- ოჩამჩირე ფ.ენგელსის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
საპროექტო შენობა წარმოადგენს ახლო პერიოდში შეთანხმებულ და აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ხდება როგორც შეთანხმებული ფუნქციის ცვლილება, ასევე დასრულებული, მოწესრიგებული იერსახის შენობაზე ახალი ელემენტების (საჩრდილობლის/აბრის) გაჩენა რაც ცვლის არქიტექტურულ იერსახეს.
ზემოაღნიშნული იერსახის ცვლილება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობანაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. არქიტექტურის სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურს, მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე შესაძლებლად არ მიაჩნია გასცეს შესაბამისი წერილობითი თანხმობა სარეკლამო აბრის განთავსებაზე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მიმდებარე სარეკონსტრუქციო ობიექტის მშენებლობა დასრულებულია, მიღებულია ექსპლუატაციაში და დასრულებული იერსახე გააჩნია.
ხოლო რაც შეეხება ფუნქციის ცვლილებას, აღნიშნული საჭიროებს მშენებლობის ნებართვის მოპოვებას საქარელოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.